საქართველოს კანონი

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №№21–22, მუხ. 481) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 10^2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.“.

2. 10^3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10^3. დაწესებულების დირექტორი

1. დაწესებულებას წარმოადგენს დაწესებულების დირექტორი.

2. დაწესებულების დირექტორად შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და რომელიც აკმაყოფილებს დაწესებულების წესდებით დადგენილ პირობებს. დაწესებულების დირექტორი აირჩევა 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი დირექტორად ზედიზედ შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.

3. დაწესებულების დირექტორს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კონკურსის წესით თანამდებობაზე ირჩევს დაწესებულების სამეცნიერო საბჭო. დაწესებულების დირექტორს დაწესებულების სამეცნიერო საბჭოს წარდგინების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დაწესებულების სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს ხელმძღვანელი.

4. დაწესებულების დირექტორის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი, დირექტორის უფლება-მოვალეობები და უფლებამოსილების შეწყვეტის წესი განისაზღვრება დაწესებულების წესდებით.

5. ამ მუხლის მე-2–მე-4 პუნქტებით დადგენილი წესი არ ვრცელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებაზე.“.

3. 10^5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10^5. დაწესებულების სახელმწიფო კონტროლი

დაწესებულების სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი.“.

მუხლი 2

1. ამ კანონის ამოქმედება იწვევს ამ კანონის ამოქმედებამდე „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^3 მუხლის შესაბამისად დანიშნული დაწესებულების დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას დანიშვნიდან 5 წლის გასვლისთანავე, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით, რომლითაც, დაწესებულების სამეცნიერო საბჭოს მიერ დაწესებულების წესდებით დადგენილ ვადაში ახალი დირექტორის არჩევამდე, არაუმეტეს 6 თვის ვადით, დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შესრულება ეკისრება მოქმედ დირექტორს.

2. ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების კონტროლის

განმახორციელებელმა სახელმწიფო ორგანომ/საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა უზრუნველყოს დაწესებულების წესდების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

3 ივლისი 2015 წ.

N3899-რს